№ 144. 8 ივლისი, სამშაბათი. 1866—1880 8 ივლისი, სამშაბათი. № 144.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

რედაქცია
ერევნის მოედანზე, შუაბაზრის თავში მარცხნივ თ. [illegible] სახლში, № 2.

ხელის-მოწერა
მიიღება „დროებაის“ „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію Дроэба“-„Иверія“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
| --- | --- | --- | --- |
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი, „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებისთვის ასოებით სტრიქონზე ნახევარი კაპ. წვრილებისთვის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხელნაწერი მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ
**დროება**
ღირს ხუთი მანეთი
**ივერია**
ოთხი მანეთი
„დროება“ და „ივერია“ ერთად
შვიდი მანეთი

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

სიმლა 4 ივლისს. კანდაჰარის გუბერნატორმა შირ-ალიმ თავის მხედრობას უბრძანა გირიშქისკენ დაწევა. ამ ბრძანების შემდეგ მთელმა ქვეითმა ჯარმა მოიტაცა ზარბაზნები, ტყვიაწამალი, და გაიქც-გამოიქცა. ინგლისის ბრიგადა გირიშქთან მდგარი გამოუდგა გაქცეულებს, რომელნიც მოუკლა ათასა, 200 კაცი, წაართვა ზარბაზნები და ბარგი. ცხენოსანი ჯარი და ყველა აფიცრები შირ-ალის ერთგულად შერჩნენ.

პეტერბურღი, 5 ივლისს. 2 ივლისს ლონდონიდამ მიღებული ტელეგრამმა გვაცნობებს, რომ წენგი პეტერბურღისკენ წამოსულა. ჩვენგან შეტყობილი ამბავი კი ამტყუნებს ამ ცნობას. წენგს აღარ მოელიან ასე მალე პეტერბურღში.

ათინა, 5 ივლისს. საერთო ნოტა წააბარეს საბერძნეთის მმართებლობას, რომელმაც ჩქარა მისცა პასუხი ნოტითვე, და გამოუცხადა, რომ მას მიეღო უმთავრეს სახელმწიფოთა გარდაწყვეტილება.

## რისთვის ვჩხუბობთ?

ტფილისი, 7 ივლისს.

სამი-ოთხი იმისთანა ამბავი მაინც შევიტყეთ ამ ერთს კვირაში, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ჩვენში ჯერ-ჯერობით თითქო ყოველივე უფლება ძალასა აქვს მინიჭებული და ვინც ღონიერი არ არის, ვინც ხანჯლის ტრიალს ერიდება, თავის მამულზედ ხელი უნდა აიღოს.

იმ დღეს ჩვენ გაზეთში იყო ბორიდამ კორრესპონდენცია, რომ გლეხებსა და ზოგიერთ უფრო მაღალის წოდების პირთ მამულზედ ჩხუბი მოუვიდათ და რამდენიმე კაცი დაჭრილი წაიღესო.

საციციანოში ერთს ციციშვილს კიდევ მამულის თავობაზედ ერთი გლეხ-კაცი შემოკვდომია.

რამდენსამე თავადიშვილების გვარს ერთმანერთში მოსვლიათ ჩხუბი სამზღვრების გამო და რაც ერთმანერთში ერთისა და იმავე გვარის წარმომადგენელთ ჩხუბი მოსდით, ამას ხომ ვინ მოსთვლის.

ნუ თუ მართლა ჩვენ ისევ ველურ მდგომარეობაში ვცხოვრობთ და ამ გვარს ზნეობის გამრყვნელს, აღმაშფოთებელს და მამულის მოვლის სურვილის მომკვლელის მოვლენას წამალი არა აქვს-რა? რა არის ამ მოვლენის მიზეზი? ეს მიზეზი ჩვენშივე და დედის რძესთან შეწოვილი გვაქვს სურვილი, რომ ყოველთვის ხანჯლები ვატრიალოთ, ვიფაფხუროთ, თითქო მთელი ქვეყნის ყურადღება ჩვენზედ იყოს მოქცეული, თუ მიზეზი სულ სხვაა, უცხოა ჩვენთვის, რომლის მოსპობა მოსპობს აგრეთვე ყოველს უთანხმოებას ჩვენში და მამულის მოვლას, მეზობლობას თავის წესზედ დააყენებს?

ამ კითხვებზედ პასუხის მიგება ადვილია, თუ იმას მივაქცევთ ყურადღებას, ვისა-და-ვის შუა უფრო ხდება ეს ჩხუბი და უსიამოვნობა.

ძველადგანვე გვარ-ცულობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენში. ერთი გვარი თავადიშვილისა თავის აზნაურებით, შინაყმებით, გლეხებით თითქმის ერთს სამეფოს შეადგენდა და მეორეს გვარს ხშირად მტერსავით უყურებდა. მამულზედ დავა ხშირად მომხდარა ძველს დროს ორს გვარს შუა, მრავალი სისხლი ჩაქცეულა მათს მიჯნაზედ, მაგრამ საფუძველი კი ვერა უპოვიათ-რა, რომელზედაც დამყარებულიყვნენ და შემდეგისათვის მოეკვეთათ დავი-დარაბის მიზეზი. შვილებიც მამებსა ბაძავდენ და მით უფრო კაი ვაჟ-კაცად ითვლებოდენ, რაც მეტი კეტის დაკვრას აიტანდენ ზურგ-მოუდრეკლად. ან ასე შორს რას მივრბივართ. ჩვენს თვალ-წინვე მომხდარა ამ გვარი ჩხუბი ორს მომიჯნავე გვარს შორის. ჩვენ თითონ ვიცით, რომ ამ ათითორმეტის წლის წინათ ორს თავადიშვილის გვარს: ა. და ფ. ნამდვილი ომი ჰქონდათ თავიანთ მამულის მიჯნებზედ და დეკემბრის გასულს თოვლში დასთესეს პური, ვითომ საბუთი უნდოდათ ეპოვნათ, რომ მამული მათი საკუთრება იყო.

მეორეს მხრივ ჩვენ დარწმუნებით ვიცით, რომ იმ გვარებს შორის, რომელთაც კი სამზღვრები გაზომილი, გამიჯნული აქვთ, თვალ-საჩინო უსიამოვნობა აღარა ხდება-რა.

სჩანს რომ თუ გამმიჯნავმა კომმისიამ მალე გაათავა თავისი მოქმედება და გამიჯნა მთელი საქართველო, მაშინ მიზეზი გვართა-შორის ბრძოლისა მოსპობილი იქნება.

## მწერლობა

—

გამოიცემის
სამწერლო თაიგული, ილ. ჭყონიასაგან წიგნი I თბ. 1880 წ.

ამ პატარა წიგნში თერთმეტი სხვა და სხვა თხუზულებაა დაბეჭდილი და თერთმეტში შვიდი, ლექსია. თუმცა ამ ლექსებს წიგნის მეათედიც ვერ გაუვსიათ, მაგრამ რიცხვით კი პროზით დაწერილს თხუზულებებს გარდემატებიან; ღირსებითაც გარდემატებიან თუ არა, ამას ეხლავე შევიტყობთ.

* * *

ჩვენს შესანიშნავს მწერლებს არ დაუშურებიათ პატარ-პატარა ლექსები და თითქმის ყველას მიუციათ თითო ყვავილი ამ თაიგულში ჩასართობად, მაგრამ ყველა ყვავილი ლამაზის ფერისაა და სურნელოვანი თუ არა, ცოტა საეჭვოა.

ფაზელს, რომელსაც ჩვენი მკითხველი საზოგადოება მოჩვენებასავით იცნობს, მიუცია სამი ლექსი ამ წიგნისათვის. საკვირველია ამ პოეტის საქციელი. ხშირად რვა-ცხრა წელიწადი ჩუმათ არის, მასუკან დაბეჭდავს სადმე რამდენიმე ლექსს; ზოგი მათგანი მთელს მკითხველს საზოგადოებას აალაპარაკებს, ყველას მოსწონს, ყველა აღტაცებაშია, მაგრამ ამ ჩინებულს ლექსს გვერდით ხშირად ისეთი ლექსია, რომ არა გჯერა, ეს პირველის ლექსის ავტორისაგან იყოს დაწერილი, თუმცა ამ სუსტ ლექსებშიაც კი მოიპოვება ორიოდ სამი სტრიქონი, რომელთაც სილაზათე და ძალა ეტყობათ. ჟაცს ასე ჰგონია მწერალს თავის ლექსები ძილ-მორეულს უწერნიაო; როცა გამოფხიზლდება, ორს სამს ლამაზს სტრიქონს ჩაურთობს ლექსებში, მაგრამ არა ისე ძლიერს, რომ ძილი სრულებით გადაუყაროს; პატარა ხანს უკან ისევ ჩასთვლემავს და მოჰყვება ისევ უსიამოვნო სტრიქონების წერას, რომელთაგან გრამატიკაც კი განდევნილია.

* * *

ამ გვარივე ბედი ჰქონიათ ალბათ ამ წიგნში ჩართულს ლექსებს. ორი პატარა ლექსი: „ჩემს სურათებზედ“ არ არიან ურიგონი, თუ ზოგიერთს ენის შეცდომილებას ყურს არ ვათხოვებთ; მეტადრე ბოლო უკანასკნელის ლექსისა, რომელშიაც ავტორი თავის სახეს, აძლევს ქალს და ეუბნება, როცა გინდა შენი საიდუმლო გაანდო ვისმე,

„გქონდეს ამ ხატის სრული
რწმუ-ნება:
რასაც გაანდობ, არ გაამჟღავნებს!..

მაგრამ მესამე დიდი ლექსი ფაზელისა მეტათ სუსტია. ეს ლექსი „ბაბუას თხოვნა“ ალლეგორია, მაგრამ ისე ბნელი და გაუგებელია, რომ ბევრი მკითხველი სახტათ დარჩება წაკითხვის შემდეგ და ვერ მიხვდება დამწერის აზრს. ამას გარდა ლექსიც უსწორ-მასწოროა და გრამმატიკული (კორრექტურული არ გეგონოთ) შეცდომებიც ბევრია. სწორე მოგახსენოთ, მე სხვა ფრივ ვერ ამიხსნია და მგონია რცმ თვლემით დაუწერია ფაზელს შემდეგი სტრიქონები:

„თვალ-ყურს, გამლევდი, ასრე
ვუვლიდი
. . . . . . . . . . . .
წყეულის ოქროს მოყვარებამ
(ლექსი არ არის).
მოხდა ბრძოლები . . .
. . . . . . . . . . . .
ვილას ახსოვდა თვისი ატომი
(თუ ტომი, ვერ გამიგია).
. . . . . . . . . . . .
აწ თქვენ გვედრი ვარ, ჩემო შვილებო
. . . . . . . . . . . .
ჟვლავ მაქნევინეთ ჩემი საქნარი...

* * *

ალლეგორია აგრეთვე, აკაკის პატარა ლექსი: „მტარვალებს.“ ალლეგორია, მაგრამ ცხადად გამოხატული და ადვილად მისახვედრი ალლეგორია, ერთის სიტყვით ალლეგორია აკაკისებრივი, ლამაზისა და ხალხის კილოს მგზავს კილოთი დაწერილი.

აკაკის ლექსი კი აკაკისებრივია, მაგრამ „ჭავჭავაძისებრივი“ ლექსი ჭავჭავაძისას წაგავს თუ არა, რამოგახსენოთ. ჟარგია ვიდევ ამ „ჭავჭავაძებრივის“ ლექსის ავტორი ამ ლექსით ოცნების დროს ეალერსება თავის საყვარელს, თორემ, ცხადად რომ ენახა, ხომ სულ დააფრთხობდა ამ გვარის გალექსილის ალერსით.

* * *

თ. რ. ერისთვის ლექსი „ჩვილი ხვედრისადმი“ ჩინებულია, რომ ერთ მძიმე ნაკლულევანება არა ჰქონდეს ამ ლექსში ავტორი თავის ბედსა

მეორე გვარი ჩხუბი და უსიამოვნობა, ჩხუბი ერთისა და იმავე გვარის წარმომარგენელთა შორის უფრო ხშირია. ამის მიზეზიც ისევ ის გაურკვევლობა, გაუყოფლობა არის. ჩვენში ძვირათ ნახავს კაცი რომელსამე გვარს, რომ საერთო მამული არა ჰქონდეთ; ამ მამულით ყველა ვერა სარგებლობს. ვინც მუდამ მამულშია, ვისაც ტაციობა შეუძლიან, ვინც უფრო მეტს, „ბარათებს“ მისცემს გლეხ-კაცს, ისა სარგებლობს, სხვები კი ლობეს გარეთა რჩებიან და თუ მოიწადინეს როდისმე თავის მამულში შესვლა, ხშირად თავიანთ სახლი-კაცებს შეხვდებიან, რომელნიც ამ სიტყვას: „ჩემია“ კეტის და ხანჯლის ხან ხმლის საბუთსაც ზედ დაურთობენ ხოლმე.

ეს ჭირი საზოგადოა ჩვენში: ქართლში, კახეთში ხშირად შეხვდებით გამრავლებულს თავადის ან აზნაურის გვარს, რომელნიც თითო აბაზათაც კი აძლევენ გლეხებს ბარათებს, საერთო ტყე რამდენიც გინდოდეთ, გაჰკაფეთო; ამითი ჰგონიათ გაკაფული ალაგი იმათ სრულს საკუთრებათ დარჩებათ. ამ ჭირს ერთი რამ აგვაცილებს თავს: მამულების დაყოფა, რაც შეიძლება მალე, „სახლი-კაცების“ შორის. გლეხ-კაცებსა და თავადებსაც შუა ხშირია სხვა-და-სხვა უსიამოვნობა; ესეც იმ გამოურკვევლობისაგან წარმოსდგება, რომელიც გადმოგვცა ძველმა წესმა და ახალმა წესმა კი ვერ შეასწორა. მომრიგე შუამავალნი, თუ ეცდებიან ადვილად შეუძლიანთ ამ მიზეზის მოსპობა.

მაგრამ ყველაზედ უმთავრესი მიზეზი შფოთისა და ჩხუბისა ჩვენი სასამართლოები არიან. ესენი ისე მოწყობილან, რომ ხამს კაცს მათში არ შეესვლება. ხამს კაცს მათს ფორმალურს წესებში გზა დაებნევა და ვეღარ გაიგნებს; ამ წესების მცოდნე „ადვოკატი“ კი ისეთს ობობას ქსელს გაუბამს, რომ ბუზსავით შიგ ფეხებს გააყოფინებს და თავ-ბედს აწყევლინებს: „ნეტა ფეხი მომტეხოდა და აქ კი არ შემოვსულიყავიო.“

ამას გარდა მომჩივარ-მოპასუხემ ხშირად, ძალიან ხშირად არ იცის სასამართლოში ხმარებული ენა და ერიდება. აი ეს არის კიდევ იმისი მიზეზი, რომ ჩვენი ხალხი, როდესაც კი უსიამოვნება მოუვა რამე მეზობელთან, სასამართლოში როდი მიდის „სამართლის“ მოსაძებნათ, ის სხვა სამართალს ეძებს—სამართალს მუშტისას და ხანდის-ხან ხმლისასაც. აი ეს არის კიდევ ამის მიზეზი, რომ ზაფხულში, სადაც მწვანეთ აბიბინებული ყანები ხშირად მოდავეთა სისხლით ილებებიან.

ორის სიტყვით დავაბოლავებთ ამ ცოტა არ იყოს, გაგრძელებულს შენიშვნას:

უმთავრესი მიზეზები მამულზედ ჩხუბისა და დავიდარაბისა ადვილად მოისპობა, თუ

1) გამმიჯნავი კომმისია მალე შეასრულებს თავის მოქმედებას;

2) სახლი-კაცები ეცდებიან, რაც შეიძლება მალე დაიყონ საერთო მამულები თავიანთ შორის;

3) მომრიგე მოსამართლენი მალევე მოსპობენ იმ დავებს, რომელნიც კიდევ დარჩენილან მებატონეთა და გლეხ-კაცთ შორის

და თუ 4) ჩვენში სამართალი უფრო გაადვილდება, გამარტივდება, გაიაფდება და ხალხისთვის გასაგონარს ენაზედ იქნება წარმოებული.

## ახალი ამბები

ჩვენ შევიტყვეთ, რომ საფრანგეთის ელჩი რუსეთის წინაშე, ღენერალი შანზი ამ ჟამად ტფილისში იმყოფება და კავკაზიის მიმოვლას აპირობსო.

* * *

სენაკის მაზრის დაბა სუჯუნიდამ გვწერენ, რომ ამ დაბაში მცხოვრებ ებრაელებს თავიანთი სასაფლაო ჭებზედ ძალიან ახლო აქვთ და ამის გამო ამ ჭებიდამ ამოღებული წყალი მავნებელიაო საკვირველიაო, ამბობს წერილის მომწერი, თუ კი ქრისტიანებს ეკკლესიის გალავნებში აუკრძალეს მკვდრის დამარხვა, რომ ჰაერი არ წახდეს, რატომ ებრაელებს კი არ ეტყვიან, სასაფლაო სოფლის მოშორებით გადიტანონო.

* * *

ერთი სოფლელი მღვდელი დიდს სამდურავსა გვწერს ბლაღოჩინებზედ. ბლაღოჩინების არჩევა სამს წელიწადში ერთხელ არის დანიშნულიო და როდესაც ამორჩევის დრო მოაწევს, შესხდებიან ცხენებზედ მ.მ. ბლაღოჩინები და უვლიან თავიანთ ქვეშევრდომს მღვდლებს. ზოგს რა ჯილდოსა ჰპირდებიან, ზოგს რასა, ოღონდ მომავალის ამორჩევის დროს კი თეთრი კენჭი ჩამიგდეო.

ზათავდება თუ არა ამორჩევა, მაშინაც მონახვენ თავიანთ ცხენებს და ესტუმრებიან თავიანთ მღვდლებს; მაგრამ ეხლა სულ სხვა აზრი და წადილი აქვთ. საცა მოეწონებათ, შვიდი-რვა დღე რჩებიან, ვითომ საქმისთვის, მაგრამ ნამდვილათ კი საწყალის მღვდლის ტვინის გამოსაწოვლად. შესმასა და შეჭმას ხომ არა სჯერდებიან, თანაც უნდა ტომრებით წაიღონ ძღვენი თავიანთს ცოლ-შვილში.

ეს ჩვეული სოფლელის მღვდლისა თუმცა დასაჯერებელია, მაგრამ წამალს კი ვერაფერს გვასწავლის. რატომ მთავრობა არ მიაქცევს ყურადღებას ამ უწესოებაზედაო?

მთავრობისა კი არა, თითონ მღვდლების ნებაა, რომ ამორჩევების დროს ყურადღება მიაქციონ საბლაღოჩინო მღვდლის ღირსებას და არა ჯილდოების დაპირებას...

* * *

წინანდელ ნომერში შეცდომით იყო ტელეგრამმებში დაბეჭდილი, ბორჩალოს მაზრა საპრისტაოდ გარდაკეთდებაო. მაზრა საპრისტაოდ კი არა, პირ-იქით საპრისტაო ბორჩალოს მაზრად (უეზდად) გარდაკეთდება.

* * *

როგორც გვაცნობებენ, ერთგული მოღვაწე და გამომცემელი ქართული წიგნებისა ბ. ზ. ჭიჭინაძე ჰყიდის თავის ძველ ხელთ-ნაწერ წიგნებს, რომელნიც ბლომათა ჰქონია შეკრებილი.

კარგს იქმოდა ჩვენი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომ შეისყიდდეს ამ წიგნებს.

## „დროების“ კორრესპონდენცია

გორი. 6 ივლისს. აგერ ლამის დაგვადნოს ამოდენა ხანგრძლივმა სიცხეებმა! მზის ამოსვლიდამ ჩასვლამდი მიწა გახურებული თორნესავით გამოსცემს ალმულს. ადამიანი კარზედ ვერ გამოსულა მორცხვი პატარძალივით ოფლით გაუწუწავათ. ამ საშინელ სიცხეებს რომ დავუმატოთ ხმელი ქარის განუწყვეტელი ქიქინი და იმის გამო მტკვრის „ბურიაქი,“ ადვილათ წარმოიდგენთ, რა საამო და სულის მომბრუნებელი, გულის და-

---

სტირის; ალბად დარჩენილა, გედს ქუდი დაუხრევინებია, გული აბედასავით ეხრწნება, სული უშფოთავს და ყველა ამ ტანჯვის განკურნებას მხოლოდ სიკვდილსგანლა მოელის; პირველი ორი-სამი ხანა მშვენიერად ჰხატავს ამ სულის ტანჯვას, რომელიც თითქო საიცარის ლექსის „მერანის“ ავტორის სულის ტანჯვას წააგავს, მაგრამ თან-და-თან ავტორი მშვიდდება, ბოლოს სუსტის, ულონო, უგემურის ლექსებით ათავებს, თუმცა კი ისევ იმგვარსავე ტანჯვაში უნდა იყოს. მთელი ხანების გამოკლება შეუძლიან კაცს და ლაქსს კი არა ევნება რა. სრულიათ თავისი გრძნობა ავტორს თითქო პირველსავე მშვენიერს ნანაში გამოუწურნია:

„შავნი სევდანი მწვევიან, ფიქრებს
მირყევენ ძალებსა,
მიშხამვენ სისხლსა, მიწამლენ,—ვით
უძლო მათთა ძალებსა,
ტირილი მწყურის და ნამი არ ეკარება თვალებსა,
გულში კი ცრემლის ზღვა მიდუღს,
მაგრამ ვინ შემიბრალებსა!..

* * *

მოგვიტევოს „უკითხავის პასუხის“ ავტორმა, რომ მის ლექსისა ვერა გავიგეთ-რა და ვერც გარჩევას შევძლებთ. ბოლოში ცოტას მივხვდით; ავტორი აქებს ხასიათს, მას აქვსო „შეძლება და მსჯმობი ძალი, მადლიანი გამოსავალი“ და კიდევ სხვა რაღაცებიო.

ეს ლექსი, რომ ამავე წიგნში დაბეჭდილის „ხასიათის“ წინ იყოს მოქცეული ამ სტატიის პროლოგი პეგონებოდა, რომელიც ძველს თეატრებში ხალხს უხსნიდა წარმოდგენის აზრსა; აქაც თითქო ეს ლექსი ხასიათის თვისებას უხსნის მკითხველებს, მაგრამ ცოტა დაუგვიანია ამ ლექსს: სტატიის ბოლოში მოქცევულია.

* * *

„უბედური შემთხვევა“ თუმცა ავტორის სიტყვით „ნამდვილი ამბავია“, მაგრამ უფრო მოგონილს სანარევო ანეკდოტს წააგავს.

ერთი იმერელი ათის წლის ტფილისში ყოფნის შემდეგ ბრუნდება თავის სახლ-კარში; ვეღარც ცოლი სცნობს, ვეღარც დედა; იმერელიც აღარ გამოემცნაურება, ვაჭარს დაირქმევს და ღამე ბინასა სთხოვს. იმას აზრათა აქვს თავისი ცოლის პატიოსნება გამოსცადოს; დედას შეაძლევს რამდენსამე ოქროს, ოღონდა შენი რძალი დამიყოლიეო; დედა მოციქულათ მიდის, მაგრამ ცოლი დიდს უარზეა და ღამე, როდესაც ყველას დაეძინება, წამოდგება, გააღვიძებს დედამთილს, აიღებს ნაჯახს, ეტყვის რომ ამ გამაუპატიურებელის სურვილისათვის იმ კაცს თავი უნდა გავაგდებინოვო, დედამთილსაც მიიმხრობს და შეასრულებს თავის წადილს. მეორე დღეს ცოლი და დედა შეიტყობენ, ვინ არის იმათგან მოკლული კაცი.

ამ ანეკდოტს საზოგადო მნიშვნელობა არა აქვს-რა, მაგრამ როგორც ყოველს ანეკდოტს ხალისით წაიკითხავს ბოლომდის მკითხველი, თუმცა კი ხშირად წაიბორძიკებს ამ გვარს რუსულიდამ გადმოქართულებულს ფრაზებზედ: „განზრახვა სისრულეში მოიყვანა“, „მიიღო კითხვებზე დასაკმაყოფილებელი პასუხი“; „ივანემ იცნო იგი თავის დედათ“; და სხვა მრავალი ამ გვარი.

თუმცა ნამდვილი ამბავი არისო, გვეუბნება ავტორი, მაგრამ ცოტა ეჭვი ებადება მკითხველს ამის სინამდვილისა. დედა მოკლულის იმერლისა ჯერ მაჭანკლათ უხდება თავის რძალს და როცა ჰხედავს, რომ ვერ გასჭრა მისმა მაჭანკლობამ, იღებს წალდს და მიდის იმ კაცის მოსაკლავათ „ოჯახის გაუპატიურებისთვის“. ან რათ მაჭანკლობდა, ან ჯავრი რათ მოუვიდა, რომ მისის ოჯახის გაუპატიურება განიზრახეს?

მაგრამ ბევრი იმისთანა ნამდვილი ამბავია, რომელსაც სინამდვილის ნიშან-წყალი არა აქვს; იქნება ეს ამბავიც ერთი იმათგანი იყოს.

დიდი ხანია ნათქვამია, რომ არა ყოველივე ნამდვილი ამბავი მართალსა ჰგავსო.

* * *

ჩემის აზრით ყველაზედ მეტად საყურადღებო ამ წიგნში არის რუსულიდამ გადმოკეთებული სამ-მოქმედებიანი კომედია: „ფერი ფერსა მადლი ღმერთსა“. თუმცა ძნელია კაცმა სთქვას ესა-და-ეს პიესა სცენაზედ უეჭველად კარგად გამოვაო და ხშირად, რაც საკითხავად მშვენიერია, სცენაზედ სრულებით არა გამოდის-რა, მაგრამ თითქმის დარწმუნებით შეგვიძლიან ვთქვა, რომ ამ პიესას თავით ბოლომდე სიამოვნებით დაუგდებენ ყურს მაყურებლები.

არც აზრი აკლია: ერთი ვერცხლის

მატკბობელი ზაფხული გვიდგია გორელებს.

ამოდენა გოლვამ არც ჭირნახულს დააყაროს, მგონია, ლაზათი. უწყალოთ დაჩაგრულ და შევიწროებულ, უცეცხლოთ დამწვარ-დადაგულ მონასაებ ჩამოუყრია ყურები და ჩამომხმარა ყოველივე ნათესი (პურს გარდა), რომელიც, კალიის მეოხებით, წელს მაინც ნაგვიანევია და თუ ეს ასეთი ამინდი არ შეიცვალა, ადვილათ წარმოსადგენია, რა ხეირი უნდა დაეყაროს იმას! ადამიანისა და პირუტყვების ჯან-მრთელობისთვისაც, რასაკვირველია, ძალიან მარგებელია ამისთანა ზაფხული!

სწორეთ გონიერული და პატივსაცემი განკარგულებაა მთავრობის მხრით „კალიის ხალხის“ დათხოვნა ამ დროს, ამ საშინელ სიცხეების დროს. ჯერ ბ. გუბერნატორმა ნება მისცა ხალხს, როცა დაინახა იმისი შეწუხება, რომ მარტო დილა-საღამობით ჰხოცოს კალია, შუადღის ხანს კი იყვეს მოსვენებაში. ამ დილა-საღამოს მუშაობასაც კი ხალხი ვერ სძლებდა: საზარელი და მეტად მყრალი სუნი კალიისა ახრჩობდა იმას. ბევრი განსაკუთრებით სხვა გუბერნიიდამ და მაზრიდამ მოსულები, ავათ ხდებოდნენ. დღეს ყველანი დათხოვნილები არიან.

შესანიშნავი და დაუვიწყარია ის მეცადინეობა და ღვაწლი, რომელიც ბ. გუბერნატორმა გამოიჩინა ამ ორ თვეს. ქებისა და პატივის-ცემის ღირსნი არიან აგრეთვე მაზრის უფროსის თანაშემწე (ზანსევიჩი) და პოსრედნიკი თ. გ. ციციანოვი! მთელი ორი თვე ამოდენა მაზრას გარს უვლიდნენ ესენი და ტკბილის მამაშვილურის დარიგებითა და ამასთან ყოველივე შემწეობის მიცემით ამხნევებდნენ და შველოდნენ გლეხ-კაცობას, რომელსაც აგრეთვე მაგარი მხარი მისცა რამოდენიმე წყვილმა თავად-აზნაურობამ, რომელთა შორის განსაკუთრებითი მეცადინეობა და თავის არ დაზოგვა აღმოიჩინეს: თ.თ. ა. ამილახვარმა, ა. ერისთავმა, ნ. დიასამიძემ და ბ.ბ. ქარუმიძემ და ზ. ლოლაძემ. ეს უკანასკნელი, ამბობენ, წვიმის და ტლაპოების დროსაც გამუდმებით, ყოველდღე დადიოდა გლეხებთან, ამხნევებდა და შველოდა იმათ.

მაგრამ „წვრილ-ფეხმა“ ჩინოვნიკებმა კი ვერ დაიმსახურეს ხალხის მადლობა. ამ დალოცვილებს მაინც რა ცოტა გაუკვირდებათ ხოლმე! ესაო და სოფლებში გაგვზავნესო „ჩინოვნიკებათ,“ ხალხის უფროსათაო, ასე ჰგონიათ, „ჩვენ ვყოფილვართო ღმერთები, უჩვენოთ თურმე აღარ გარიგებულაო საქმე, ჰოი ძლიერებასა და ღვაწლსა ჩვენსაო! ჰოი კაცობასა ჩვენსა და ჩვენგან ამ მძიმე საქმის ულლათ დებასა და ქვეყნის დახსნასაო!“ მავნე ენები ბევზედ ბევრს რამეებს ამბობენ, რასაკვირველია, ცილის-წამებით; ბევრისაკენ იშვერენ თითს, ამან ეს ჰქმნა, იმან ის ჰქმნაო, მაგრამ ჩვენ რათ ვერწმუნოთ ამის-ამისთანა ჭორებსა და ცილის-წამებას!..

ტფილისელებს ქუთათელებმა მიბაძეს და ამათ გორელებმაც დუქნების ძალათ ცეცხლის მოდება. ამ ერთი კვირის წინათ ჩვენი დახურული ბაზრის მოვაჭრეებს შუაღამისას კარგი გულის ტრიალი მოუვიდათ: რაღაც უხილავმა ძალამ თურმე დაასველა ნავთით ერთი დუქნის ფიცრის სახურავი და მისცა ანთებული სპიჩკა. ცეცხლი გაძლიერდა და სრულიად გარე მოეტოდა მთელ ბაზარს, თუ რომ დროით არ გაეგოთ. მეორე დღეს ბევრი რამეებს ამბობდნენ და სხვათა შორის ისიც სთქვეს, რომ დამწვარიყოვო ბაზარი, ურიგო არ იქნებოდაო ერთის მხრით: მაშინ მაინც გადაკეთდებოდა, გაუმჯობესდებოდაო ეს სასაცილო „ტომნი რადიო.“

ძალიან სიცრუით გადმოუციათ „დროებისთვის“ აქაური „ბორანის“ შესახები ცნობა. ბორანი, მართალია, ძალიან კარგი კი ვერ არის, მაგრამ ისეთი კია, რომ დატვირთული ფურგონი, დროგი, ურემი და სხვ. იტვირთოს. იმითი რიგიანათ, ძალიან საჩქაროთ გაჰყავ-გამოჰყავთ ხალხი და ყველაფერი, რაც კი საჭიროა. პარომს არა თუ დღისით მუდამ გაუწყნარებლად, ღამ-ღამეც კი ამუშავებენ; ვერც ქარი აბრკოლებს იმის მსვლელობას, ვერც წვიმა და ვერც სიცხე. არც ლანძღვა-გინება აქვსთ მგზავრებს: მისცემთ განწესებულ ფასს (2 კ.) და გახვალთ უშიშრათ და საჩქაროდ. უპრავა პარომს კი არ აძლევს—პარომი უპრავას რამდენიმე მანეთს თვეში.

განათლების მხრით ჩვენი გორი წინ მიდის. სამი სასწავლებელი რომ ვერას გახდა, ვერ აკმაყოფილებს მოსწავლეთა სურვილს, გამოდიან განათლებული პირნი და ჰხსნიან კერძო სკოლებს. ამ გვარი სკოლების რიცხვი აქ ამ ჟამად ბლომათ არის.

ამას წინად ქუჩაში მივდიოდი და ბავშების ხმაურობა მომესმა. შევაღე კარები (თუმცა ძალიან მრცხვენოდა და მეძნიმებოდა იქ შესვლა, რადგანც ეს არის ეზო იმ სახლებისად, სადაც ცხოვრობენ ისეთი ადამიანები, რომელნიც ყოველთვის ნაშუადღევს ვაჭრობენ, ე. ი. აქ არის როსკიპ-ხანა) და...ენ რა დავინახე! თორმეტიოდე ყმაწვილი ზის და მაღალის ხმით წიგნებს ჰკითხულობს. აქეთ დგას ხარაზის დაზგა ყოველივე ტყავებითა, ჯღანებითა, შრეშებითა და კალაპოტებით. ახალ-გაზდა ხარაზს, ჭუჭყიანი ფართუკით, გავაქსულ-გაშრეშილ ხელებში უჭირავს მათრახი, ვიღასაც ელაპარაკება და ხითხითებს. ჩემს შესვლაზედ ხარაზმა სიცილს თავი დაანება და მე დამიწყო ცქერა, ყმაწვილებმაც ერთბაშათ მომაპყრეს თვალები. ამ დროს... ღმერთო ჩემო! რაები არა ხდება ამ ცოდვილ დედა-მიწაზედ!.. ამ დროს ყმაწვილების დასიდამ გამოვიდა ახალ-გაზდა ქალი, თავ-მიშვებლა, თმა გაწეწილი, ძალზედ გაწითლებული პირის სახით, დაკვერებული ლოყებით. იმას ცალ ხელში ეჭირა მათრახი და მეორეში——კრუხი დედალი. ორივ ფრთებით დაეჭირა ხელში საცოდავი კრუხი, რომელიც ანგრევდა საცეცხლურივით. კრუხი კვნესოდა, ქალი იცინოდა, ხარაზი ბანს ეუბნებოდა და ყმაწვილები ხან წიგნს ჰკითხულობდნენ, ხან ამ სცენას უყურებდნენ. ორი მათრახი, ხარაზისა და უცხო ქალისა, საცოდავი ყმაწვილების ზურგების დასაზელათ შემოსულიყვნენ ამ ოთახში, დედალი კი არ ვიცი რას მოასწავებდა და ეს უცხო ქალი გახლდათ... ერთი მდგმურთაგანი როსკიპხანისა!.. — მასწავლებელი? იკითხავთ თქვენ. — რა მოგახსენოთ, მე ის ვერ ვნახე და ყმაწვილებმა კი სთქვეს, რომ რუსიაო, მწერალი და კანცელარიაში არისო, ჩვენ უროკი მოგვცა და ეს ქალ-ვაჟი მათრახებით გვაჩუმებენო!!

მეორე კერძო სკოლა ერთს დაბალი ტანის ყმაწვილ კაცს გაუხსნია; ესეც მწერალია (მაშ! უბრალოთ ვინ-

---

თაყვანის-მცემელი ყმაწვილი-კაცი ცდილობს შეირთოს ქალაქის ხმოსნის ქალი, მაგრამ როდესაც შეიტყობს, რომ ამ ქალის მეგობარმა ორმოცის წლის გასათხოვარმა ქალმა ოცი ათასი თუმანი მოიგო მომგების ბილეთით, თავს ანებებს პირველს და ირთავს მახინჯს ორმოცის წლის ქალს. პირველში ეს ყმაწვილი-კაცი არ ეუბნება თავის ახალს საცოლოს თვისის აზრის ცვლილების მიზეზს და მხოლოდ ქორწილის შემდეგ შეიტყობს, რომ მის საცოლოს მომგები ბილეთი მოგებამდის გაყიდული ჰქონია.

ეს ამბავი ცოცხალად, მარჯვეთ არის გამოხატული ამ პიესაში და ბოლომდის მაყურებელმა არ იცის რითი გათავდება საქმე; ამას გარდა ავტორს ერთი ხელოვნება გამოუჩენია: ისე ძნელია იმ ყმაწვილი-კაცის ყოფის წარმოდგენა, როდესაც ის შეიტყობს ოცი ათასის თუმნის ჰაერში გაქრობას, რომ ამის გასამჟღავნებლათ ცოლსაცა და ქმარსაც კულისებში გზავნის; სცენაზედ კი სხვები გვიამბობენ მათს თავგარდასავალს.

* * *

ამ მსუბუქს სტატიებსა და ლექსებს არც მძიმე სტატია აკლია; ეს გახლავთ ერთი კარი სმაილსის თხზულებიდამ ხასიათი, რომელსაც ჰქვიან: „ხასიათის გავლენა“. დიახ მძიმეა ეს სტატია და მძიმეთაც საკითხავი. მართლა რომ „ხასიათიანი“ და მომთმენი კაცი უნდა იყოს, მეტადრე ჩვენი ქართველი, რომელიც კი ამ სტატიას ბოლომდის ჩაიკითხავს და უკეთესი საბუთი ნუ გინდათ ჩემის „ხასიათიანობისა,“ რომ მე შევძელ ამ სტატიის ჩათავება. სტატიის ბოლოს კი ვიპოვე რამდენიმე მშვენიერი აზრი, რომელნიც აქ მინდა მკითხველს გადმოვუწერო. რასაკვირველია ეს აზრები მომეტებულის მაგალითებით რომ იყვნენ დამტკიცებულნი უფრო მეტს გავლენას იქონიებდენ მკითხველებზედ:

„როგორც კერძო ადამიანი, ისე ხალხებიც მწე-ძალას ჰპოვებენ და სიმტკიცეს იძენენ იმის გრძნობით, რომ ისინი სახელოვანს ტომს ეკუთვნიან, რომ იგინი არიან მისი დიდების მემკვიდრენი და სახელოვნების გამგრძელებელნი. ერთობ საჭიროა, რომ ხალხს ჰქონდეს წარსული, რომელზედაც იმას შეეძლოს მოხედვა. წარსული ამტკიცებს, ამაღლებს და შესწევს აწმყო დროს, ანათლებს და აკეთილშობილებს ხალხს თავის დროინდელ დიდებულ ქველობათა, კეთილშობილურ ტანჯვა-წამებათ და მამაცურ მოქმედებათა გახსენებით.“

ან ესა:

„როგორც კერძო ადამიანის, ისე ხალხოსნობათა თვისებაზე სჯა მათი სიდიდის (მრავლობის) მიხედვით შეუძლებელია. „კაცი რომ ხის ოდენი გაიზარდოს, იგი ამით უკეთესი არ შეიქნება.“ ხალხოსნობის დიდებისათვის სიმრავლე არ არის მიუცილებლად საჭირო, თუმცა ხშირად ურევენ ერთმანეთში დიდებას და სიმრავლეს.... ისრაელის ხალხი პატარა იყო, მაგრამ დიდებული სიცოცხლის ძალა გამოიჩინა და რა ძლიერი ზედმოქმედება იქონია კაცობრიობის ბედზე! საბერძნეთი ვრცელი სახელმწიფო არ იყო.... მაგრამ რა დიდებულნი იყვნენ ბერძენები ხელოვნებაში, მწერლობაში, ფილოსოფიასა და პატრიოტობაში.“

ან მოვისმინოთ ეს პასუხი მინისტრის კოლბერისა ლიუდოვიკო მეთოთხმეტისადმი, როდესაც ლიუდოვიკომ ჰკითხა მას, რატომ მოხდა, რომ საფრანგეთისთანა ძლიერის ქვეყნის პატრონმა ვერ დაიმორჩილა, ვერ დაიმონავა პატარა ჰოლლანდია?

„იმიტომ, თქვენო დიდებულებავ, მიუგო კოლბერმა, რომ სახელმწიფოს დიდება მიწის სივრცეზედ კი არ არის დამოკიდებული; ხალხის ხასიათზეა. რადგან ჰოლლანდიელები შრომის მოყვარენი, თავდაჭერილები და სიმხნის მქონენი არიან, ამიტომაც იმათი ძლევა თქვენთვის ძნელი იყო.“

გავათავებთ ამ გადმონაწერებს შემდეგის მშვენიერის აზრით:

„თუ გვარტომობის წევრნი მარტო თავიანთთვის სცხოვრობენ, სიამოვნების გარდა სხვა არაფერი სურვილათ არა აქვსთ რა და ყოველს მათგანს ჰყავს საკუთარი ღმერთი, ამისთანა გვარტომობა განწირულია და მისი დაცემა აუცილებელი არის.“

ეს რამდენიმე სტრიქონი გადმოვწერე ჩვენის მკითხველებისათვის იმ აზრით, რომ ამ სტატიის ბნელის დასწყისის კითხვა თავიდამ აეცილოთ და დაბურდულის, გაუვალს ტყეში უტარებლად პირდაპირ შარა-გზაზედ გავიყვანო.

მეები როდი არიან!) რვა მანეთიანი. წლოვანობა და წვერ-ულვაში უშლის, თორემ თვითონ ეს რომ შევიდოდეს სკოლაში, ურიგო არ იქნებოდა.

მესამე სკოლა საქალ-ვაჟო გახლავსთ. ეს სკოლა ჯერ არ მინახავს და შემდეგისთვის ამასაც გაგაცნობთ სხვა სკოლებთან...

ვერმიცანიძე.

# უცხოეთი

**წვრილი ამბები.** ერთს ჩეხურს გაზეთს „სარწმუნო პირი" აცნობებს, ეჭვი არ არისო რომ პორტა არ შეასრულებს ბერლინის კონფერენციის განაჩენსო. დიპლომატები დარწმუნებულნი არიანო, რომ ინგლისი თავის გემებს გააგზავნის საბერძნეთის წყლებში ოსმალეთის წინააღმდეგ, თუ ვინიცობაა ეს უკანასკნელი არ დასთმობს კონფერენციისაგან პირველისადმი მიზომილს მიწასო.

—

ინგლისურ გაზ. *Daily Telegraph*"-ს სტამბოლიდამ სწერენ: „ამბობენ, ვითომცხონთქარი აღარ სწყალობდეს სამინისტროს თავსმჯდომარეს, აბბედინ-ფაშასო: ჭორია ვითომც მინისტრები გამოიცვლებიან და ახლებში სხვათა შორის იქნებიან: მაჰმუდ-ფაშა დიდ ვეზირად და არტინ-ბეგი დადიანი გარეშე საქმეთა მინისტრად. ეს დადიანი თურმე კარგად განათლებული, მუშა-კაცი მოხელეაო. სარწმუნოებით ქრისტიანი ყოფილა.

—

ინგლისურს „*Pall Mall Gazette*"-ზ სტამბოლიდამ ატყობინებენ, რომ თუმც ზოგიერთი გაზეთები უარჰყოფენ, საგრამ ნამდვილია რომ ოსმალეთი საომრად ემზადებაო. უმთავრესად საჭირო ალაგებში გაცხარებით აგზავნიან სამხედრო იარაღებს, სამზადისს და სხვ. თესალიაში 4,000 სალდათი უნდა დასთხოვნად სამსახურიდამ, მაგრამ დაყოთა ვითარების გამო ხელ-ახლავ დაბრუნეს ისინიო.

# განცხადებანი

—

**საქალაქო სასწავლებლის კომიტ.**

საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1 ენკენისთვიდამ გაიღება ტფილისში სახელოსნო და პირველ—დაწყებითი სასწავლებელი. ყმაწვილების მიღება ორივე სასწავლებელში დაიწყება 15 აგვისტოდამ. თხოვნა უბრალო ქაღალდზედ უნდა იყოს დაწერილი და მიეცეს ქალაქის გამგეობის მორიგს (დეჟურნს) წევრს, ყოველ-დღე 10—12 საათამდე. თხოვნასთან უნდა იყვნენ წარმოდგენილნი შემდეგნი მოწმობანი: მეტრიკის და ყვავილის აცრისა. და გარკვეულად უნდა იყოს ნაჩვენები მოსახლეობის ადგილი და პოლიციის ნომერი სახლისა. პირველ-დაწყებითი სასწავლებელში მიიღებიან 8 წლიდამ 14 წლის ყმაწვილები, რომელთაც არავითარი ცოდნა არ მოეთხოვებათ. სახელოსნო სასწავლებელში შემსვლელი ყმაწვილი უნდა იყოს 12-დამ 16-ს წლამდე. ყმაწვილები საღი, ჯანმრთელნი უნდა იყვნენ და 1-ს კლასში შესასვლელად უნდა იცოდნენ: **საღმრთო წერილიდამ** შემოკლებული **კატეხიზმო** და საღრმთო ისტორია; **რუსულის** ენიდამ კითხვა, წერა და წაკითხვის გარდაცემა სიტყვით, **ქართველებს** და **სომხებს** ამ გვარივე ცოდნა მოეთხოვებათ თავიანთ დედა-ენაზედ **არითმეტიკიდამ** პირველი ოთხი მოქმედების ცოდნა, და უმარტივესი გამოცანების გონებითი აღრიცხვა. ცოდნა დროს, ფულის, წონის და სხვ. ანგარიშისა.

(2—1)

დაბოლოებითი

# დაყიდვა

ამ თვის ბოლომდის **ინგლისის მაღაზიაში, არწრუნის ქარვასლაში.** ჩულქები, წინდები, ცხვირ-სახოცები, პარუსინები, სურათები, დუხები, თოფები, რევოლვერები, კლიტენი, ხერხები, დანები. კოვზები, სამწყურვალო ციტრატ მაგნეზიები და სხ. იყიდება ეხლა 25% და 50% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან არის.

(10—2)

# ბებია

მარიამ ფილჩაკოვისა, მცხოვრები **საპერის** ქუჩაზედ პარატინსკის სახლში მე 24 ნომრიანში, იღებს თავის სადგომში, სრულს ხარჯზედ იაფათ, მშობიარეთა და ყოველ უძლურ ქალებს, რომელნიც ავათ-მყოფობენ დედაკაცურის ავათ-მყოფობითა. მოვლა ავათ-მყოფთა ექმნებათ თვითონ ფილჩაკოვისაგან თანაშემწეობითა სპეციალურის ექიმისა.

(3—2)

**ქუთაისის ქალაქის გამგეობა** ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ **თორმეტს ამა ივლისს, შაბათს,** იმის თანდასწრებით, გამგეობის სადგომზე იქნება ვაჭრობა ქალაქის ქუჩების განათების იჯარით გაცემაზე,—**ორის წლის** ვადით. (რიცხვი ფარნებისა არის ორას სამოც-და-რვა,) ვაჭრობა იქნება სიტყვიერი, მაგრამ მსურველს შეუძლია დაბეჭდილის კონვერტითაც შემოვიდეს ვაჭრობაში.—როგორც სიტყვიერი ისე დაბეჭდილის კონვერტით წინადადებები შემოტანილნი უნდა იქნენ ვაჭრობის დღის თორმეტ საათამდე, ვაჭრობა დაიწყება 12-ს საათზე, გათავდება ორს საათზე. იჯარის პირობების (კონდიციის) გაცნობა შეიძლება ყოველ დღე თავათ უპრავაში, დილის ცხრა საათიდამ ვიდრე 2-ს საათამდე.

(3—3)

**სამზღვარ-გარეთის ყოველ-გვარ საგაჭრო სახლებთან პირადად ნაცნობობამ და პირდაპირის კავშირის ქონებამ, შეგვამლებინა დაგვეწყო ქ. ქუთაისში გაჭრობა**

საკუთრი

# სამზღვარ გარეთელ მოდის საქონლისა

*NOUVEAUTÉS IARISIÉNNES*'-ის

ფ ი რ მ ი თ

ვაცნობებთ რა ამას აქაურს პატივცემულს საზოგადოებას, ვიმედეულობთ, რომ ის არ დაგვტოვებს უყურადღებოთ და ღირს გვყოფს მოგვმართოს საჭიროებისა-მებრ.

ჩვენის მაშუალობით შეიძლება სამზღვარ გარეთიდამ **ყოველ-გვარ** მაშინების, ავეჯეულების, ფორტეპიანოთა და სხვ. ნივთების დაბარება.

ჩვენი მაღაზია არის გიმნაზიის და სათავადო ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ საკუთარს სახლში.

ივანე ნიკოლაძე შვილებითურთ.

**პატენტიანი შროტკები**

**თმებისათვის** 1 მ. 50-დამ **და ცხენებისათვის** 1 მ. 75-დამ; **ყვავილები სახურავებით** 2 მანეთიდამ; **სარქევე** 30 კაპ.; **რუმკები** 5 კ.-დამ; **ფილტრები (წყლის დასაწმენდი)** 3 მ-დამ **და გედრები** 1 მან-დამ; **თეფშები** 2 მ-დამ **ინიდუჟ**; **შოკოლადის** კანფეთები 20 კ-დამ **თითო ყუთი და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.**

(100—20)

**სოფელში და მოგზაურთათვის**

დასაკეცი კრაოტები, კრესლო-კრაოტები, სკამები, წყლის საწმენდი მაშინები, დანები, თეფშები, ჩემოდნები, ჩაი, ბისკვიტები, კანფეთები, ციტრატ-მაგნეზია და თევზის საჭერი ჯოხები ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში**—3 მანეთიდამ 8 მანეთამდინ.

ნამდვილი ინგლისის თოფები და რევოლვერები ისყიდება ინგლისის მაღაზიაში 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე.

—

**წამოსასხმელი! წამოსასხმელი! წამოსასხმელი!!**

ინგლისის მაღაზიაში 3 მანეთად 25 კაპეიკად! წინდები და [illegible] 2 მანეთიდამ!

(30—21)

ახლანდელ დიდს

# გამოფენის

დროს,

**ოლეოგრაფიული სურათები იყიდება** 20% **დაკლებით, მაკ-ინტოშები (მოსახურავები)** 6 **მანეთიდამ** 20-**მდე; შრომქები მოსაფხეკებითურთ თითო** 75 **კ.; შეკვეთილია შეფუდიდში განსაკუთრებით ინგლისურ მაღაზიისთვის საუკეთესო სამართებლები, რწყილი ბუდეებით ღირს** 4 **მან.; შეფფილდის დანები ჩანგლებიანათ დუჟინი** 2 **მ.** 75 **კაპეიკიდამ** 20-**მანეთამდე. ჩაინიკები ბრიტანიის მეტალისაგან** 30 **კაპეიკიდამ** 3 **მანეთამდე; ციტრატ-მაგნეზია, ოსმალოს შარბათი და სამწყურალო კვერების ბანქა** 70 **კ.; საუკეთესო პორტ-ვეინი და ხერესი** 1 **მ.** 40 **კ ბოთლი, და შამპანიის ღვინო ბოთლი** 3 **მან. და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.**

(40—30)

**პარუსინა**, ბუმაზეია, ტრიკო, დრაპი, ხავერდი მებელისა და ფაეტონებისათვის, უნაგირები, ფოჩტის ქაღალდი და სხვ. 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში.**

**მურაბა** გემრიელი, კანფეტები ყველი, მაგნეზია შერბეთი წყურვილისათვის, ჭურჭლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში.**

**კარბოლის** პარაშოკი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავათმყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—**ინგლისის მაღაზიაში.**

(40—16)

**„დროების" ფოჩტა**

**მ—ვის მეზობელს.** რას ჩაასცივდით მაგ ბატარეიას „დროებაშივე" არ იყო გასწორებული ეგ შეცდომა. ან რასა ლანძღავთ „წ—ს," თქვენ რომ რისასთვისაც გულ მოსული იყოთ, გაზეთი ხომ დასახსანა არ არის.

**ლანჩხუთელს**, თქვენი წერილისა ჩვენ ვერა გავიგეთ რა. ამას გარდა რით ვერ შეიტყვეთ რომ თქვენი სახელი და გვარი უნდა აცნობოთ რედაქციას, თორემ არას დაგვ ბეჭდებათ—რა.

**ს—ს. ი. ტ—ს.** თქვენი სახელი და გვარი გვაცნობეთ.

**დ. რ.—შვილს** დიდი ცოდვა არა დაუბრალებიათ რა, თავის გამართლებათ არა ღირს.

**შ—ნს. ტ—ელს.** თქვენი კორესპონდენცია სრულად ვერ დავბეჭდეთ; ცოტა ძველი ამბებია, გთხოვთ კვლავ უფრო ახალი ამბები გვიგზავნოთ

**ე—ნს. ჩელთელს.** თქვენი კორესპონდენცია ვერ დავბეჭდეთ, რადგან არაფერი სასიამოვნო იყო ჩვენის მკითხველებისათვის. დაბრუნებას ჩვენ არ ვკისრულობთ; ბოდიშს ვიხდით.

**ნ. მ—ს.** თქვენს შენიშვნას ვერ დავბეჭდავთ, ცენზურის წინააღმდეგია.

Дозволено цензурою. Тифлисъ 7 Іюля 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს.მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი

ეროვნული ბიბლიოთეკა